

ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი სწავლა-სწავლების მოდელების  
განვითარება

საბინა კაზიმოვი

გვანცა ვახტანგაშვილი

თორნიკე თოიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია მჟავანაძე, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

## განაცხადი

„წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

საბინა კაზიმოვი

გვანცა ვახტანგაშვილი

თორნიკე თოიძე

16.06.2023

## მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის ავტორები მადლობას ვუხდით სსიპ - მამია ფანცულაიას სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლის პედაგოგებს კვლევაში აქტიური ჩართულობისა და მონაწილეობისათვის. განსაკუთრებული მადლობა სკოლის დირექტორს, პრაქტიკის კვლევის პროექტის ხელმძღვანელს, ბატონ ვარდენ ნიქაბაძეს საორგანიზაციო საკითხებში გაწეული დახმარებისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

ასევე, მადლობას ვუხდით პრაქტიკის კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ მასწავლებელს, ნათია მჟავანაძეს ეფექტური უკუკავშირისა და მხარდაჭერისათვის.

## აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ თემაა „ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი სწავლა-სწავლების მოდელების განვითარება“ სსიპ - მამია ფანცულაიას სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლაში.

კვლევის მიზანია სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნება და გამარტივება ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი სწავლა-სწავლების მოდელების განვითარებითა და დანერგვით. კვლევა პასუხობს შემდეგ საკვლევ შეკითხვებს: 1. როგორ გავამრავალფეროვნოთ სასწავლო პროცესი ტექნოლოგიებით გამდიდრებული სწავლა - სწავლების მოდელების დანერგვით? 2. როგორ გავამარტივოთ ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირება მასწავლებლებისათვის?

სამაგისტრო ნაშრომის პროექტის კონცეფციიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდოლოგიად შერჩეულია თვისებრივი კვლევის მეთოდი - პრაქტიკის კვლევა. კვლევის სხვადასხვა ეტაპზე მონაცემთა შეგროვების რამდენიმე მეთოდი და ინსტრუმენტი იქნა გამოყენებული. კერძოდ, დიაგნოსტიკური კვლევის ეტაპზე, სკოლაში არსებული მდგომარეობის შესწავლისა და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუ სკოლის დირექტორთან და ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან, ინტერვენციების დაგეგმვის ეტაპზე სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა განათლების ექსპერტებთან, ხოლო ინტერვენციების შედეგების შესაფასებლად - ფოკუს ჯგუფები მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან. საკვლევ თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, შერჩევის მეთოდად გამოყენებულ იქნა არაალბათური, მიზანმიმართული შერჩევა. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარები სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფებისათვის.

დიაგნოსტიკური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა აღჭურვილია მრავალფეროვანი ტექნოლოგიური მოწყობილობებით. პედაგოგთა უმრავლესობას აქვს

ტექნოლოგიების გამოყენების საბაზისო უნარები და სარგებლობენ ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმებით, თუმცა ტექნოლოგიების დანერგვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ტექნოლოგიების გამოყენების არასისტემურობა, ენობრივი ბარიერი და მასწავლებლების გადაღლა რთული ტექნოლოგიური სიახლეებით.

ინტერვენციების დაგეგმვისას მთავარ მიზნად განისაზღვრა ისეთი ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, რომლებიც იქნებოდა მარტივად ასათვისებელი, მდგრადი, სისტემური და გაუმარტივებდა პედაგოგებს სწავლა-სწავლების პროცესს. ექსპერტებთან და სკოლის დირექტორთან კონსულტაციების შედეგად ინტერვენციებად შეირჩა ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმები - „კანვა“ და „კაჰუტი“.

ინტერვენციების ფარგლებში მასწავლებლებთან დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა ვორქშოფები, რომლებზეც პედაგოგები გაეცნენ პლატფორმების მახასიათებლებს, გამოყენების ინსტრუქციებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებელთა თხოვნით, მომზადდა ვიდეო გაკვეთილები და გზამკვლევები.

ინტერვენციების მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ რამდენიმე მასწავლებელმა წარმატებით მოახერხა სასწავლო პროცესში ციფრული პლატფორმების ინტეგრირება, რამაც მოსწავლეების განსაკუთრებული ჩართულობა და ინტერესი გამოიწვია. მოსწავლეებმა თავადაც დაიწყეს „კანვასა“ და „კაჰუტის“ გამოყენება და მათი საშუალებით საგანმანათლებლო რესურსების მომზადება. მასწავლებლებმა ინტერვენციები დადებითად შეაფასეს და გამოხატეს მზაობა, მომავალშიც აქტიურად გამოიყენონ და კოლეგებსაც გაუზიარონ აღნიშნული საგანმანათლებლო პლატფორმები.

**ძირითადი თემატური სამიზნო დიტყვები:** საგანმანათლებლო ტექნოლოგიები, პრაქტიკის კვლევა, ინტერვენციები, „კანვა“, „კაჰუტი“.

## Abstract

The research topic of the present master's thesis is the development of technology-supported teaching-learning models in the LEPL public school No. 2 of the village Fartskhanakanevi, Tskaltubo municipality, named after Mamia Phantsulaia.

The aim of the study is to diversify and simplify the learning process by developing and implementing technology-supported teaching-learning models. The study answers the following research questions: 1. How to diversify the learning process by introducing technology-enriched learning - teaching models? 2. How to simplify the integration of technologies in the educational process for teachers?

Based on the concept of the master's thesis project, the qualitative research method – action research - has been selected as the research methodology. Various data collection methods and tools were utilized at different stages of the research. In particular, at the stage of diagnostic research, in-depth interviews with the school principal and focus group of teachers were used in order to study the current situation and identify the main challenges of the organization; At the stage of intervention planning, in-depth interviews were conducted with educational experts; And finally, a focus groups with teachers and students was conducted to evaluate intervention outputs.

Based on the research topic, a non-random, purposive sampling method was used, which was aimed at the maximum involvement of the members of the target group. Questionnaires were used as a research tool - semi-structured questionnaires were developed for in-depth interviews and for focus groups.

The results of the diagnostic research revealed that the school is equipped with a variety of technological devices. The majority of teachers have basic skills in using technology and use online educational platforms as well, however, the main challenges of school regarding

technology-based learning is its non-systematic usage, the language barrier and the exhaustion of teachers with complex technological innovations.

When planning the interventions, the main goal was to introduce such technological innovations that would be simple/user-friendly, sustainable, systematic, and would ease the teaching-learning process for teachers. As a result of consultations with the field experts and the school principal, online educational platforms – *Canva* and *Kahoot!* were selected as interventions.

Within the action research, two remote workshops were held with teachers. They were introduced to the using instructions, features, and a range variety of educational materials the platforms offer. Video guidance lessons and manuals were prepared in Georgian and provided to school as part of the interventions.

As a result of the monitoring and evaluation of the interventions, it was revealed that several teachers successfully managed to integrate digital platforms in the learning process, which caused special involvement and interest of the students. The students themselves started using *Canva* and *Kahoot!* to prepare educational resources. The teachers evaluated the interventions positively and expressed their willingness to actively use the mentioned educational platforms in the future.

**Keywords:** Educational technologies, action research, interventions, Canva, Kahoot!